2024-2027 წლების მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაჯგუფის

სხდომის N3 ოქმი

დ. მესტია **28.09.2023 წ.**

„2024-2027 წლების მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის“ სხდომა გაიხსნა 2023 წლის 28 სექტემბერს.

სხდომა ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, დ. მესტიაში, სეტის მოედანი #1.

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის1 მარტის ბრძანების საფუძველზე.

„მესტიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს - მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებიან:

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი- მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი

სამუშაო ჯგუფის წევრები:

ნელი ნავერიანი - მერის პირველი მოადგილე, თანათავმჯდომარე

თეიმურაზ ნავერიანი - საფინანსო სამსახურის უფროსი, სამუსაო ჯგუფის კოორდინატორი.

სალომე კვიციანი -საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების და ფორმირების განყოფილების უფროსი.

ქეთევან ხარძიანი -ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ირაკლი მიქიანი - ა.ა.ი.პ ახალგაზრდული თვითმმართველობის უფროსი.

ლალი გულედანი - ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი.

ირინა ღვაჩლიანი - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

ლანა მჭედლიანი -ეკონომიკის და ტურიზმის განვითარების სამსახურის ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსი.

მაია ნაკანი - განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ალირა უმფრიანი --საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების და ფორმირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის სამუშაო ჯგუფისათვის განსახილველად წარდგენა.

<u>შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი შეეხება</u> მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის გაცნობა/განხილვას, რომელიც შედგენილ იქნა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე.

საფინანსო სამსახურმა სამუშაო ჯგუფს განსახილველად წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის შესახებ, რომელიც დაიგეგმა მხოლოდ საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით (სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების გარეშე) და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია-- 21 500.4 ათასი ლარის ოდენობით, რაც წინა წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან (19 050.3 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია2 450.1 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის მიმართულებით ჭერი დაგეგმილია 5.288 მლნ ლარი, რაც 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით 1.668 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2023 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელთან შედარებით 10.3 მლნ ლარით ნაკლებია(გამოწვეულია იმით, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერები არაა გათვალისწინებული). ინფრასტრუქტურული პროექტების ხვედრითი წილი 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობასთან (21,5 მლნ ლარი) 24%-ია;

2024 წლის ბიუჯეტის პროექტიდან დასაფინანსებელ **ძირითად პრიორიტეტებზე** რესურსები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება -7 738 ათ. ლარი.**
- **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია-5 288 ათ. ლარი.**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა-1 708.8 ათ. ლარი.**
- **განათლება- 2 036.8 ათ. ლარი.**
- **კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები- 3 245.6 ათ. ლარი.**
- **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.- 1 483.2 ათ. ლარი.**

2024 წლისათვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები და მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისდა სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები განსაზღვრულია **დანართის** მიხედვით.

აღნიშნულ იქნა, რომ მიმდინარე წლის არაუგვიანეს 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წერილობით გვაცნობებს ინფორმაციას 2024 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლის საფუძველზე დაზუსტდება ბიუჯეტის პროექტის მოცულობა.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ფორმირების ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისდა სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, 2024 წლის ასიგნებების მოცულობა რჩება საბიუჯეტო ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების შესაბამისად.

სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები

სამუშაოჯგუფმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება:მიღებულ იქნეს ცნობად საფინანსო სამსახურის მოხსენება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის შესახებ და გაგრძელდეს მუშაობა ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის ფორმირებაზე.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი **კაპიტონ ჟორჟოლიანი**

სამუშაო ჯგუფის წევრები: **ნელი ნავერიანი**

თეიმურაზ ნავერიანი

სალომე კვიციანი

ქეთევან ხარძიანი

ირაკლი მიქიანი

ლალი გულედანი

ირინა ღვაჩლიანი

ლანა მჭედლიანი

მაია ნაკანი

ალირა უმფრიანი